ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ მოხდა, რომ მოხუცსაც და ახალგაზრდასაც ერთნაირი მაღალი მაჩვენებლები აქვთ?
— სულ უბრალოდ: მოხუცს ახალგაზრდის ენერგია გააჩნია, ახალგაზრდას—მოხუცის გამოცდილება.

ნიანგი

№ 10 გამომცემლობა „კომუნისტი“ წელი XXXIII. ფასი 2 მან. თბილისი მაისი 1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულის გასათბობად

ნახ. შ. ცხადაძისა

— ისეთი ნივთი გამომირჩიეთ, რომ ცოლს გული გავუთბო.
— მაცივარი უყიდეთ!

როგორ დაინიშნა მოადგილე

მსგავსი შემთხვევისაგან ყველა დაწესებულება დაიფაროს, მაგრამ რა დასამალია და, ჩვენი ტრესტის მმართველის მოადგილე გადააყენეს.

საკმაოდ თბილი ადგილი გათავისუფლდა.

ძველის წასვლიდან ახლის მოსვლამდე. კარგად მოგეხსენებათ, რამდენის გული აფორიაქდება ხოლმე.

თერთმეტი განყოფილება აქვს ჩვენს ტრესტს. თერთმეტ განყოფილებას თერთმეტი გამგე ჰყავს და არც ერთმა მათგანმა არ გამოიჩინა იმდენად პატარა წარმოდგენა თავის თავზე, რომ ხსენებულ ადგილისათვის ცალი თვალი მაინც არ გადაევლო.

ერთ-ერთი განყოფილების გამგემ, ტრესტის მმართველთან ყველაზე ახლო მდგომმა, ყველაზე ცნობილ ხერხს მიმართა. ორ მეგობარს ცალ-ცალკე დაუძახა და გამოესაუბრა:

— რა ვქნა, კაცო, არ ვიცი რა წყალში ჩავვარდე!

— რა დაგემართა?!

— მმართველი არ მეშვება, გინდა თუ არა. ჩემს მოადგილედ უნდა გადმოგიყვანოო.

— მერე? რაღას უყურებ!

— აჰ, რა ჩემი საქმეა! როდის იყო, კარიერაზე ვოცნებობდი!

— კაცო, ჰკუაზე ხარ?

— არა, ბიძია. არა. ამხელა პასუხისმგებლობა, ამდენი საქმე... იმ საცოდავივით გულზე ხელებს ხომ არ დავიკრებ და მოხსნას არ დაველოდები!

— მე კი გირჩევ და...

— როგორ გეკადრება... თუ ძმა ხარ, არავის არაფერი უთხრა.

მეორე დღესვე მთელი ტრესტი ამ ამბავზე ლაპარაკობდა. მოსალოდნელი ფაქტის მომხრე არავინ იყო. მაგრამ ხვალინდელ უფროსთან ამბის მიტანის შიშით ყველა „დიდებულია“-ს იძახდა.

ყველა „დიდებულია“-ს იძახდა. მაგრამ მმართველი ანკესზე მაინც არ წამოეგო...

დაწინაურების სხვა საიმედო მეთოდებზეც გიამბობდით, ჩვენი ტრესტის მუშაკებმა რომ იხმარეს. მაგრამ ჯობია გაგაცნოთ საწარმოო განყოფილების გამგის მოადგილის თედო ნათელაშვილის ხერხი. რომლითაც მან ყველა მეტოქე გაათასა.

საქმე იმაშია, რომ საწარმოო განყოფილების გამგე, თედო ნათელაშვილის პირდაპირი უფროსი, ერთი აჯამი კაცი გახლავთ. კალამს ხელში ისე არ აიღებს, რომ თითი მელნით არ დაისვაროს და თითის დასვრაც კი მის მოადგილეს, ან რომელიმე სხვა თანამშრომელს არ გადააბრალოს.

ათი წელიწადია უძლებს ასეთ გამგეს თედო მოადგილე და მის ადგილზე ოცნებობს. ოცნებას კი განხორციელება უყვარს და თედო ნათელაშვილმა სცადა ორი საქმე ერთად გაეკეთებინა: ასეთი ახირებული უფროსისაგან ცოტა მოშორებით ყოფილიყო და ერთი ნაბიჯი თვითონაც გადაედგა

წინ. მმართველის მოადგილედ თავისი პირდაპირი გამგის გადაყვანა მოინდომა, თვითონ კი მის ადგილზე დაჯდომა და ამ მიზნითა და სხვა მიზეზით მმართველს ესტუმრა.

— პიოტრ ზახარიჩ, ერთი, თქვენი ჭირიმე. ამ ქაღალდზე ხელი მომიწერეთ.

— რა არის ეს, ბიჭო?

— ქვიშის ფაქტურაა, ბატონო.

— განყოფილების გამგემ ვერ მოიტანა?

— საქმეზეა წასული. პიოტრ ზახარიჩ, ვერ ისვენებს, რაც ეს ახალი ამბავი შეიტყო, ენერგია გაუთქეცდა.

— რა ამბავი შეიტყო?

— რა ვიცი. მმართველის მოადგილედ ვადაყავთო, ხალხი ლაპარაკობს.

— ხალხი ლაპარაკობს?!

— დიახ, ყური მოვკარი.

— ჭორია, ბიძია.

— რა მოგახსენოთ, მე თქვენს საქმეში როგორ ჩავერევი. მაგრამ ისე კარგი ბიჭია.

— რა აქვს კარგი?

— როგორ გეკადრებათ, პიოტრ ზახარიჩ, გამრჯე კაცია, ერთგული, საქმის მოყვარული. ხასიათი ხომ. შაქარსაც შეშურდება.

— დაგიჯერო?

— დედას გეფიცებით. იშვიათი კაცია... მე ვერ გავუმართლე ცოტა, თორემ... რამდენჯერმე ვაწყენინე.

— არ ყოფილხარ კრიტიკის მოყვარული, ჩემო თედო. არა.—დაიწყო მმართველმა. რომელმაც თავისი ხუთი თითით იცოდა მათი უფროს-უმცროსობის გაჭირვებული ამბავი,—უარყოფითი რა იცი მის შესახებ. უარყოფითი მითხარი. კაცი ცუდის მხრივ უნდა შეაფასო. აბა, ერთი ცუდი მაინც მითხარი მის შესახებ და დავაწინაურებ.

— როგორ გეკადრებათ, პიოტრ ზახარიჩ. უფროსზე ცუდი ვთქვა. ადამიანობა კი არ დამიკარგავს!

— მაშ კარგი ბიჭია?

— იშვიათი.

— დიდებული მუშაკია?

— გრანდიოზული.

— იშვიათი ხასიათისაა?

— განუმეორებელი.

— კარგი, დავაწინაურებ.— თქვა მმართველმა და კაბინეტიდან მიმავალ თედოს ისე გადახედა. თითქოს ორივე თვალით მადლობას ეუბნებაო.

მმართველს არ ეძინა. მეორე დღემდე თავში უტრიალებდა თედოს სიტყვები,—„უფროსზე ცუდი ვთქვა, ადამიანობა კი არ დამიკარგავს“... თედო კი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. მალე განყოფილების გამგე ვიქნები და ჩემი აჯამი უფროსიც კარგა მოშორებით იქნება ჩემგანო. იმ ღამეს სახარბიელო სიზმარიც კი ნახა თედომ და ისე თქვენი ხელქვეითისადმი განზრახული ყოველი სიკეთე აგიხდეთ, როგორც თედოს ეს სიზმარი აუხდა.

მმართველმა ბრძანება დაუშვა და თვითონ თედო ნათელაშვილი დანიშნა თავის მოადგილედ.

ზ. ივანიშვილი

ნახ. ა. ქოქიაშვილისა



მამა, რომელიც რვა შვილს უვლის.

მამა, რომელსაც რვა შვილი...გვერდს უვლის.

ფრიდრიხ შილერი

მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა დიდი გერმანელი მწერლისა და მოაზროვნის ფრიდრიხ შილერის გარდაცვალების 150 წლისთავი. ვაქვეყნებთ მისი განთქმული ეპიგრამების ნაწილს. ამ ეპიგრამებში („ქსენიები“) შილერი თავს ესხმის მისი დროის რეაქციულ ძალებს, ტირანებს, უნიჭო მწერლებს და მოხელეებს.

ეპიგრამები

გერმანია და მისი მეფეები

ბევრი მეფე შვი, ხარ იმათი ღირსი კიდევაც!
მეფის დიდებას ქვეშევრდომი გაახმიანებს;
მაგრამ ეცადე, გერმანიავ, მეფურ დიდებას
მათ ის არჩიონ, რომ ემსგავსონ ადამიანებს!

„განათლებული“ ფილისტერები

ო, რამდენი მტერი დასდევს საწყალ ჭეშმარიტებას!
ბუ რომ მზისკენ გაფრინდება, გუღი მეტად მიკვდება.

ნიკოლაი[1]

ღესინგსა და მოსეს ახლდი, მათი სხივი გეფინება:
შუქს უქრობდა გენიოსებს შენი ცხვირისცემინება.

ვოლფის ჰომეროსი[2]

შვიდი ქალაქი დავობდა: ის იყო ჩემი შვილიო:
ვოლფმა დაგლიჯა—მიიღოს ყველამ თავისი წილიო.

თარგმნა გერმანულიდან აკ. ჭკადუამ

1. ნიკოლაი—უნიკო მწიგნობარი, შილერის თანამედროვე.
2. ფრ. ვოლფი ამტკიცებდა, „ილიადა“ და „ოდისეა“ სხვადასხვა პირების დაწერილიაო. „ვოლფ“—ამავე დროს მგელს ნიშნავს.

ეჭვიანი ქმარი

— ახლა რაღას იტყვი, ვინ არის ეს სალახანა?.. შენი საყვარელი?..
— სამწუხაროდ...

რა ვუყოთ მერე...

ანუ ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონი

კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელეგრაფო-სატელეფონო განყოფილების უფროსმა ლამბაშიძემ ყურმილი აიღო, აკრიფა № 3-18-25 და სატელეფონო ხაზის ორ წერტილს შორის ასეთი საუბარი გაიბა:

— ალო! დავითაშვილი ვარ—კავშირგაბმულობის სამინისტროს საფოსტო კავშირის განყოფილების უფროსი.

ლამბაშიძე — ბიჭოს! მოსე ხარ? აი, დასწყევლის ღმერთი, „ატეესის“ მთავარ ინჟინერ სპირიდონ თვარაძეს ვურეკავდი.

დავითაშვილი — რომელი ხარ?

ლამბაშიძე — ოთარი გელაპარაკები... რა გახდა ეს ტელეფონი, — ერთგან დარეკავ და სხვაგან მოხვდები!

დავითაშვილი — შენს განყოფილებასა გავს: დეპეშას ერთგან გზავნი და, მეორე ადგილას კი ამოყოფს ხოლმე თავს!

ლამბაშიძე — ბიჭო, როდემდე უნდა იყო ინტრიგანი? არ ჯობია, შენს განყოფილებას მიხედო, წლობით რომ იკარგება წერილები?

დავითაშვილი — ინტრიგანობა რა მოსატანია!.. ოთხარის მასწავლებელმა ზაკანბეი პათხვარიამ თბილისიდან დეპეშა გაგზავნა—გუდაუთში დამხვდითო, მაგრამ დეპეშას თვითონვე ჩაასწრო. ოთხარელმა ფოსტალიონმა ორი დღის შემდეგ მასვე ჩააბარა ის დეპეშა და მოუბოდიშა—გზაში დაგვიანებიაო!

ლამბაშიძე — რა ვუყოთ მერე... დეპეშა მავთულებს მიყვება, ხომ შეიძლება სადმე გაეჩხიროს! შენ ის იკითხე, ქვემო ახკალაფის მასწავლებელ ვერა ადეიშვილს წერილები ორ წელიწადში ერთხელ რომ მისდის!

დავითაშვილი — იქნებ არავინ უგზავნის წერილს! მე ხომ არ მივწერ?!.

ლამბაშიძე — შენ ნუ გაირჯები, ნათესავები სწერენ. 1953 წლის 16 სექტემბერს გაგზავნილი წერილი ადეიშვილმა 1955 წლის იანვარში მიიღო... გაზეთებს ხომ კვირაში ერთხელ ღებულობს!

დავითაშვილი — რა ვუყოთ მერე... ახკალაფი სოფელი ადგილია, შორს არის...

ლამბაშიძე — მოიცა, მოიცა... რუსთაველის პროსპექტიდან ავლაბრის არალეგალურ სტამბამდე რა მანძილია?

დავითაშვილი — ჯერ არ გამიზომია!

ლამბაშიძე — შენს თანამშრომლებს გაზომინე და 5.000 კილომეტრი გაუვლიათ.

დავითაშვილი — ვითომ რატომაო?

ლამბაშიძე — იმიტომ, რომ წერილმა რუსთაველის პროსპექტიდან ავლაბრის სტამბამდე 23 დღე ისეირნა.

დავითაშვილი — ნამდვილად შარზე ხარ! ასეთი არაფერი გამიგია...

ლამბაშიძე — მიაკითხე ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს და იქ გაიგებ. მუზეუმის თანამშრომელმა... ალო!.. გესმის? მუზეუმის თანამშრომელმა 29 იანვარს VIII განყოფილებას ჩააბარა შეკვეთილი წერილი № 500. ეს წერილი ჯერ IV განყოფილებაში აღმოჩნდა, მერე ფოსტამტში გადავიდა, აქედან III განყოფილებაში ამოყო თავი და 21 თებერვალს ძლივს მიაღწია სტამბამდე.

დავითაშვილი — ჩემი რა ბრალია: კაბინეტი აქ მაქვს და განყოფილებები სხვაგან.

ლამბაშიძე — შე კაი კაცო, ზოგჯერ, კაბინეტიდანაც გამოდი. გესმის?.. მუზეუმის დირექციამ ამ საქმის გამო 16 მაისს საჩივარი დაწერა. 24 დღე „ეძიეს“ დამნაშავე. ბოლოს ფოსტამტის უფროსის მოადგილე ნაცვლიშვილმა ასეთი პასუხი გასცა მუზეუმს: საჩივარი დადასტურებულია, IV საფოსტო განყოფილების მუშაკებს ადმინისტრატიული სასჯელი დაედოთ, მაგრამ მთავარი დამნაშავისა და ადგილის გამოვლინება შეუძლებელი გახდაო. თუ ასე იყო, IV განყოფილების ხალხი რა შუაშია?!

დავითაშვილი — თუ კაცი ხარ, შენს თავს მიხედე... ალო, ალო!.. გამოიხედე! თქვენები არ იყვნენ, დიდ ჯიხაიშში დეპეშა რომ ჩაიბარეს: „თედო ჩამოვდივარ 11 მაისს ფოთზე“, და დაამახინჯეს: „ჟიხაიშ. კეტო ჩამოვიდა 11 ფოტზე· ტამარა“. კიდევ კარგი თედოს იმ შენს მუშაკებზე მეტი მიხვედრილობა აღმოაჩნდა და დახვდა ცოლს სადგურზე.

ლამბაშიძე — რა ვუყოთ მერე... მაინც ხომ დახვედრია! ზოგჯერ უარესიც ხდება და თავს არავინ იკლავს!..

დავითაშვილი — კაცო, ამაზე მეტი თავის მოკვლა რაღა იქნება: შენმა მუშაკებმა 30 აპრილს გაგზავნილი საპირველმაისო დეპეშა ადგილზე 5 მაისს ჩაიტანეს. ეგ არაფერი: თურმე ოჯახში გარდაცვლილი მამიდა ესვენა. მისალოცი დეპეშა რომ ნახეს, ზოგს გულზე შემოეყარა, ზოგიც ისე აენთო, კინაღამ ფოსტალიონი შემოაკვდა...

ლამბაშიძე — კაი, ერთი, შე კაცო. ვინ იყო, არ მეტყვი?..

დავითაშვილი — აჰ, მიცვალებულის ოჯახის გვარს ახლა ვერ გეტყვი. გაჩუმება ჯობია.

ლამბაშიძე — ჰოდა, შენც სუ, მეც სუ...

დავითაშვილი — კი, ბატონო, გაჩუმებული ვარ! დარეკე ახლა თვარაძესთან, ოღონდ, ისევ ჩემთან არ მოხვდე...

ლაპარაკი შეწყდა.

ამის შემდეგ არც დავითაშვილი აწუხებს ლამბაშიძეს და არც ლამბაშიძე დავითაშვილს. დამახინჯებული დეპეშები განაგრძობენ დანიშნულების ადგილზე გვიან მისვლას, წერილები კი, ზოგჯერ, წლობით იკარგება.

ჩვენის მხრივ ამას დავუმატებთ: როცა საქმე აირევა, საქმოსანმა საქმეს დროით უნდა მოაბას თავი. და თუ მაინც არა გამოდის რა, მეთაური განყოფილებიდან უნდა...

იქნებ მრავალწერტილმა ვინმეს გული დასწყვიტოს! რა ვუყოთ მერე, ზოგჯერ უარესიც ხდება!

გიორგი ჯინჭარაძე

ნიანგის მონადირეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახეში

— ხალხი გელოდებათ დილიდან, ვარდენ ვარდენიჩ. დღეს მიღების დღეა. ხომ არ დაგავიწყდათ?

— ხალხი?! ჰო!.. რა მოცლილი ხალხია ეს ხალხი, გამოიარონ ხვალ. ზეგ. ან მოიცადონ ოთხი-ხუთი საათი, რა უჭირთ!..

მდივანი ცივად გაბრუნდა უკან.

— უყურე ამ უვიცს! „დღეს მიღების დღეა. ხომ არ დაგავიწყდაო!" როგორ მიბედავს! მიღების დღე მაშინაა, როცა უფროსი მიღების გუნებაზეა. ნელ-ნელა მაპარებს კრიტიკას, ეს თითის სიგრძე ბღარტი.— ფიქრობდა ვარდენი.— მახსოვს ერთხელ კრებაზეც თქვა — გულწრფელი კრიტიკა ყველას ეხმარება შეცდომების გამოსწორებაშიო... გაბედოს ერთი! კრიტიკა ქვემოდან. ბრძანების ამონაწერი ზემოდან, სამსახურიდან მოხსნის შესახებ! ჩემი შეცდომის გამოსწორებას მისი მიწასთან გასწორებით დავიწყებ.— ჩაიხითხითა. ზარს თითი დააჭირა და მოსაცდელ ოთახში ჩამოძინებული ხალხი დააფრთხო.

— უთხარით ხვალ გამოიარონ. ახლა სამუშაო საათები იწურება, სახლში მივდივარ. უკვე ორი საათი იქნება პირში ლუკმა არ ჩამცდენია.

— ვიღაც აწჩხლი დედაკაცი დილიდან გელოდებათ. იძახის ფეხს არ მოვიცვლი აქედანო. ასე მოგახსენოთ — ურჩევნია მიმიღოს, თორემ ვანანებო!..

ვარდენი მახეში გაბმულივით შეიჰმუხნა.

— ამიწერეთ მისი გარეგნობა.

— მაღალია, ცხვირგრძელი. ორბისთვალება.

— დ ა ვ ი ღ უ პ ე თ!

— განსაკუთრებული პიროვნებაა? — იკითხა შეშინებულმა მდივანმა.

— ასე ვთქვათ... ცოლია ჩემი.— ამოიხვნეშა ვარდენმა.

„შესაფერი" მოტივი

ვინ მოსთვლის უკვე მერამდენეჯერ კამათობდნენ ამაზე.

— მე შენთან ცხოვრება არ შემიძლია!— ამტკიცებდა ქმარი.

— მეტი არაა ჩემი მტერი, შენ უჩემოდ ვერ გაძლო! — უმტკიცებდა მეუღლე.

— შენთან გავძელი და უშენოდ როგორ ვერ გავძლებ?

— მართლა უნდა მიგატოვოს კაცმა, და ნახავ რა დღეში ჩავარდები! მაგრამ რა, მე რომ დაგთანხმდე კიდეც, სასამართლო არ გაგვაშორებს. შესაფერი მოტივი უნდა ცოლ-ქმრის გაცილებას.

— ოღონდ შენ დამთანხმდი და მოტივს მე გამოვძებნი: სულ „მრავალჟამიერისა" და „შაშვი-კაკაბის" მოტივით გაგაცილებ.

„დასველებად" არ ღირს

მის ახალ ტუფლებს ჰრიჭინობელასავით გაჰქონდა ჰრიალი.

— მომილოცავს, მაგას ახლა დასველება უნდა, ჩემო ძმაო!— ვუთხარი მე და საჩვენებელი თითი ყანყრატოზე მივიცაცუნე.

— რას ამბობ. კაცო. შენ ამ ტუფლების ამბავი არ გცოდნია, ერთი დასველება საკმარისია. რომ ნაწილ-ნაწილ დაიშალოს.

გ. ნიშნიანიძე

თბილისის მე-3 და ქუთაისის მე-7 გაჭაჯანსაღებელ საბავშვო ბაღებში იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვებისათვის განკუთვნილი სურსათი არადანიშნულებისამებრ მიდიოდა.

ნახ. ა. ბანძელაძისა

— საოცარი ხალხია, თვითონ სუქდებიან და ბავშვებს წონიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომისგამჩაღებელთა ფსიქოლოგია

— ...ალო, ალო!.. ორასი, ორასი დოლარი-მეთქი! არ გესმის? სიტყვებით მიგახვედრებ: ომი, რევოლვერი, ატომი, სიკვდილი, ეპრიტი, — ო რ ა ს ი...

რეცენზია-ანკეტა*

ფორმა №

1) 19 . . სეზონში $\frac{\text{რუსთაველის}}{\text{მარჯანიშვილის}}$ (ხაზი გაესვას) თეატრმა მაყურებელს

უჩვენა დრამატურგ_________ის $\frac{\text{კომედია}}{\text{ტრაგედია}}$ (ხაზი გაესვას)

2) რეჟისორმა-დამდგმელმა $\frac{\text{ახლებურად, თავისებურად გახსნა}}{\text{სათანადო სიმაღლეზე ვერ აიყვანა}}$ (ხაზი გაესვას)

ავტორის ჩანაფიქრი

3)

როლები და მათი შემსრულებლები—გვარი, სახელი, საპატიო წოდება	ჩვეული ოსტატობით განახორციელა, ფსიქოლოგიურად ზუსტი პორტრეტი შექმნა	მშრალად, უემოციოდ, უტემპერამენტოდ თამაშობს	გარეგნობა ხელს უწყობს	ხმა ღალატობს	ანსამბლთან შეწყობილად თამაშობს
1.					
2.					
3.					
4.					
5.					

4) პიესის მოკლე შინაარსი . . . .

. . . .

5) მხატვარ_____ის გაფორმება და კოსტიუმები ზუსტად გადმოსცემენ ეპოქის სტილს.

6) კომპოზიტორ_____ის მუსიკა დიდად ეხმარება სპექტაკლის ემოციურ აღქმას.

ზემოაღნიშნულ მცირე ნაკლოვანებათა მიუხედავად, მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს ახალი სპექტაკლი.___________________

(რეცენზენტის ხელმოწერა—ფსევდონიმი)

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ა) თუ რეცენზია კლასიკურ პიესას შეეხება, ავტორისა და ნაწარმოების ქება უნდა ჩაიწეროს მე-4 პარაგრაფში, მოკლე შინაარსთან ერთად.

ბ) თუ რეცენზია თარგმნილ პიესას შეეხება, მთარგმნელის ქება პირველივე პარაგრაფში უნდა ჩაიწეროს, მოკლედ, შემდეგი სიტყვებით: „თარგმანი ძარღვიანი ქართულით ჟღერს", ანდა—„თარგმანი გამართული ენით არის შესრულებული". მთარგმნელის ძაგებას მოერიდეთ, რადგან, რა ცუდი თარგმანიც არ უნდა იყოს, ჩვენში მთარგმნელს არ აძაგებენ.

* ხშირად პრაქტიკული ცდები თეორიული დასკვნების საშუალებას იძლევა. ზოგი თეატრალური რეცენზენტი უკვე კარგა ხანია ატარებს ცდებს. ერთ და იმავე ფორმისა და შინაარსის რეცენზიებს წერს სხვადასხვა თეატრალურ სპექტაკლზე და კარგ შედეგებსაც აღწევს—უბეჭდავენ. ამიტომ „ნიანგი" მომწიფებულად თვლის სტანდარტის შემუშავების საკითხს და აქვეყნებს ერთ-ერთ ვარიანტს.

ხალხური იუმორი

ბუ ადამი*

დედის მუცლიდან მკვდრად შობილი

ბუ ადამი, მოგზაურობის დროს, ერთ ქვეყანაში სასაფლაოზე მოხვდა. ნახა —შესანიშნავი ეპიტაფიები ამშვენებენ საფლავის ლოდებს. ხალხის სიბრძნე და ნიჭი გამოსჭვივის მარად გაუცვეთელ „ქვის ქაღალდებში".

ერთ ქვაზე ასეთი წარწერა წაიკითხა: ჰაჯი[1] ომარ ალა, რომელმაც სამი წლის ასაკში დასტოვა ამქვეყნიური ცხოვრება.

— დიდება ალაჰს! —შესძახა ბუ ადამმა,—განა შეიძლება სამი წლის კაცი ჰაჯი გახდეს?! ეს უთუოდ შეცდომაა. მოდი, ერთი სხვა წარწერაც წავიკითხო.

„ჰაფიზი[2] შუქრი ალა, რომელმაც წლინახევრის ასაკში დასტოვა ამქვეყნიური ცხოვრება".

ბუ ადამი სახტად დარჩა:

— როგორ? წლინახევრის კაცი ჰაფიზი გახდა?! ყოვლად შეუძლებელია ასე ადრე წერა-კითხვა ესწავლა და თან ყურანიც დაეზეპირებინა.—წაილუღლუღა მან.

სასაფლაოდან რომ გამოვიდა, წინ ერთი მოხუცი შემოეყარა.

— იქნებ მითხრათ, კეთილო მოხუცო, როგორ ანგარიშობენ ადამიანის წლოვანებას ამ მხარეში: გარდაცვალების დღიდან, თუ დაბადებიდან?—მიმართა ბუ ადამმა და უცნაური ეპიტაფიების ამბავი უთხრა.

— იცით რა,—მიუგო მოხუცმა,—რა საჭიროა ადამიანის წლოვანებას მივაწეროთ ის დღეები, რომელნიც მან ტანჯვა-წამებასა და უბედურებაში გაატარა? ადამიანი მხოლოდ იმ დღეებს უნდა ანგარიშობდეს, რომლებიც მან ბედნიერად გაატარა. იმ კაცმა, თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, მხოლოდ სამი წელი იცხოვრა ბედნიერად, მეორემ კი — წელიწადნახევარი. ამიტომაც არის მათი საფლავის ქვებზე ასეთი წარწერები ამოკვეთილი.

— თუ ასეა, ანდერძი უნდა დავტოვო,— თქვა ბუ ადამმა, — როცა მოვკვდები, ჩემი საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა გააკეთონ: „დედის მუცლიდან მკვდრად შობილი ბუ ადამი".

2.

ბუ ადამს უთხრეს:

— ზამთარი მოდის, რა მოამზადეო?

— კანკალიო,—უპასუხა ბუ ადამმა.

3.

ერთ საღამოს ბუ ადამის სახლში ქურდი შევიდა; ბუ ადამი განჯინაში დაიმალა. ქურდმა მთელი სახლი გადაჩხრიკა და, როცა ვერაფერი იპოვა, განჯინის კარი გამოაღო; კაცი რომ დაინახა, ჰკითხა:

—აქ რას დამალულხარ?

— შენი შემრცხვა და დავიმალეო,—უპასუხა ბუ ადამმა.

4.

ბუ ადამს უთხრეს, ერთი წარჩინებული პიროვნება ყოველდღე სხვადასხვა ტანისამოსს იცვლისო.

— გასაგებია, თერძის უკმაყოფილო ყოფილაო,—უპასუხა ბუ ადამმა.

5.

ერთ ომში ბუ ადამი მტერს ტყვედ ჩაუვარდა. იმ დროს ტყვეები იყიდებოდა. ბუ ადამი ერთმა წარჩინებულმა კაცმა ათ ოქროდ იყიდა, მერე კი ორმოცდაათი ოქრო მისცა და თავისი ქალიშვილი მიათხოვა.

აჯამი ქალი გამოდგა.

ერთხელ სიმამრი ბუ ადამს გაუჯავრდა და უთხრა:

— შენ ის არა ხარ, მტრის ხელიდან ათ ოქროდ რომ დაგიხსენი და ტყვეობას გადაგარჩინე?!

— დიახ, ისა ვარ, ათ ოქროდ მტრის ტყვეობას რომ გადამარჩინე და ორმოცდაათ ოქროდ შენი ქალიშვილის ტყვე რომ გამხადეო, — უპასუხა ბუ ადამმა.

თავისუფალი თარგმანი თურქულიდან გრ. გვაძაბიასი

* „ბუ ადამი" თურქული ანეგდოტების კრებულია, რომელიც დაკავშირებულია ანონიმურ სახელთან — ბუ ადამთან („ეს კაცი"). ანეგდოტები შეკრებილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მკითხველთა ყურადღებას იქცევს სოციალური სიმახვილითა და მსუბუქი ჰუმორით.

1. ჰაჯი — კაცი, რომელმაც მუსულმანური სამყაროს უწმიდესი ადგილი—მექა მოილოცა.

2. ჰაფიზი — კაცი, რომელმაც ყურანი ზეპირად იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი წლის განმავლობაში რემონტმა სანახევროდ წაიწია წინ, აბრაც სანახევროდ დაიმტვრა. თუ ამ დეტალის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ საზაფხულო კინოთეატრ „ამირანის" სრულ გარემონტებას კიდევ ორი ზაფხული დასჭირდება, რასაც ღრმა სიხარულით ვაუწყებთ კინომოყვარულთ.

სამწუხაროდ, ჩვენმა ჩიტკორესპონდენტმა სურათი მაშინ გადაიღო, როდესაც ფუნიკულორზე პაპანაქება სიცხე იდგა. ამიტომ მაგიდასთან არავინ მჯდარა. თუ რა პოზაში აღმოჩნდებიან, ან რა დროს გაატარებენ ამ სკამზე მსხდარი მოქეიფენი, მკითხველის ფანტაზიისათვის მიგვინდვია.

„ნიანგის" ლექსიკონი

ავარია—(შოფერთან ნახე).

ბორჯომი—ადგილი, ანუ კურორტი, ანუ წყალი. („კაცო, ბორჯომში მაინც არ უნდა იყიდებოდეს ბორჯომის წყალი?").

გამყინვარება—(კინოსტუდიასთან ნახე).

დარტყმა—სპორტული ილეთია, უმრავლეს შემთხვევაში უშედეგოდ ხმარობენ. („დარტყმა, კიდევ დარტყმა, მაგრამ...").

ზოოპარკი—ნაკრძალი ნადირთა, ახალი ცხოველების შემატება აკრძალულია.

სპეკულანტი—სხვათა სიტყვაა, ჩვენთანაც შემორჩა.

სტადიონი—სასპარეზო ადგილი გადამყიდველთათვის. („ორმაგ ფასად რომ ყიდი მაგ ბილეთს, სინდისი არა გაქვს?—რა ჩემი ბრალია, ძიაჯან, დღეს თუ ორი მატჩი ტარდება?").

ტაქსი—ჭრელტყავიანი ცხოველი, თბილისსა შინა მეტად მრავალი, თუმცა ძნელად დასაჭერი. თუ დაიჭერ, თვითონ გაგატყავებს.

ტაში—თეატრებში რომ არ არის, ის არის. („გამეხარდა, ვიფიქრე ტაში დამიკრეს მეთქი, თურმე ვილაც მთვრალ მაყურებელს სილა გაურტყამს ამხანაგისათვის—აქ რად შემომიყვანეო").

ტენორი—ახლო წინაპართა სასიმღერო ხმაა, სადღეისოდ არ შემორჩენილა.

შაური—რაღაც ხუთიოდე კაპიკი. თბილისის მოლარეები არ ხმარობენ. („არ გრცხვენიათ, მოქალაქე, შაურის გულისთვის საჩივრის წიგნს თხოულობთ?").

შოფერი—(ავარიასთან ნახე).

ჰონორარი—განძი რამ, კლასიკოსთა მიერ გადანახული და ნათესავთა მიერ ნაპოვნი.

შეადგინა ვ. ალფაიძემ

№ 183
23/IV 55

კინოსურათების მიხედვით



რედაქტორი—ვახტანგ ჭელიძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги". რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 10, ხელმოწ. დასაბ. 9/VI-1955 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 137. „ზარია ვოსტოკას" სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42, შეკვ. № 1028 უე 05030 ტირ. 25.000

კის შეერთებულ შტატებში უმუშევართა და
რად უმუშევართა რიცხვი 12 მილიონს აღწევს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

55-189